



### სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროკავშირის ელჩი ეწვია

2010 წლის 7 ივლისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ევროკავშირის ელჩი საქართველოში პიერ ეკლუნდი ეწვია.

პიერ ეკლუნდმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება თემაზე: *ევროპული მხარდაჭერა საქართველოს*. ლექციის ბოლოს გაიმართა ამ საკითხის განხილვა: სტუდენტებმა საპატიო სტუმარს დაუსვეს შეკითხვები. შედგა ასევე შეხვედრა ევროკავშირის ელჩსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ჯონი აფაქიძეს შორის.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს ევროკავშირის სხვადასხვა პროგრამებში, მათ შორის თანამშრომლობს ევროკავშირის პროექტში *ნდობის აღდგენისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი*.